ხელშეკრულება N ბ-2023/31
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. თბილისი 2022 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **„საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“** (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი დირექტორის **ირინე დანელიას** სახით და მეორე მხრივ **შპს "გორგია"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის მინდობილი პირის **თამარ ჯავახიშვილის** სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების ტერმინების განმარტება

1.1. „ხელშეკრულება“ - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2. „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. „მიმწოდებელი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. „საქონელი“ - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **25 (ოცდახუთი) ცალი ბაღის სეკატორის (LG-017, მეტალის)** შესყიდვა.

2.2. CPV კოდი 44512000 - სხვადასხვა სახის ხელის ხელსაწყოები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **946.25 (ცხრაას ორმოცდაექვსი ლარი და ოცდახუთი თეთრი)** ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

3.2. ხელშეკრულების ფასი შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს, დაკავშირებულს მოწოდებასთან, მათ შორის კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2023 წლის **7 აპრილის** ჩათვლით.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი , **წერეთლის ქ. #140**

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს ეროვნული ბოტანუკური ბაღი“-ს შესყიდვების დამხმარე სპეციალისტი **ლევან ჯოლოგუა.**

6. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

6.2. დაფინანსების წყარო - **2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.**

6.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

6.4. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ანაზღაურება მოხდება მიმწოდებლის მიერ მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. ფასები

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.3. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის,

გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
7.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს საქონლის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და განახორციელოს ხარისხის კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე. შემსყიდველის მხრიდან ინსპექტირებას უზრუნველყოფს შესყიდვების დამხმარე სპეციალისტი **ლევან ჯოლოგუა.**
8.2. შემსყიდველი ვალდებულია საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
8.3. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, _ ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.3. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო 5% ოდენობით.
9.4. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.5. საჯარიმო სანქციით დაკისრებული თანხა გადახდილ უნდა იქნას მხარისთვის (მიმწოდებელი) აღნიშნულის თაობაზე გადაწყვეტილების (წერილი ჯარიმის დაკისრების თაობაზე) გაცნობიდან არაუგვიანეს 1 თვეში.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
10.3. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად:
ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ მიმწოდებელი სისტემატიურად და/ან უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;
გ) იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან საქონლის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 10 (ათი) კალენდარულ დღეს ან ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს;
დ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი

ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს- მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს თბილისის საქალაქო სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების ენა და მოქმედების ვადები

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ფორმდება ელექტრონულად და ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, რომლის ყველა ეგზემპლარი ორიგინალია.

13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ა(ა)იპ -„საქართველოს ეროვნული ბოტანიკურ ბაღი“
მის: ქ. თბილისი, ბოტანიკური ქ. #1
ს/კ: **404405960**
ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი TRESGE22
ანგ. #**741 887 499**
დირექტორი
ირინე დანელია

მიმწოდებელი:

შპს “გორგია”
ქ. თბილისი, წერეთლის ქ. #140
ს/კ: **245621288**
ბანკი: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: **GE 62TB 1007 5360 2010 0008**
დირექტორის მინდობილი პირი
თამარ ჯავახიშვილი

Tamar Javakhishvili 01011096225
Digitally signed by Tamar Javakhishvili
Date: 2023.03.22 15:08:43

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი 2023 წელი

ვადასტურებთ, რომ არასამეწარმეო (არაკომერციული) „საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღსა“ და **შპს „გორგიას“-ს** შორის გაფორმებული #**ბ-2023/31** ხელშეკრულების ფარგლებში შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს და არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

ა(ა)იპ საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის
დირექტორი
ირინე დანელია